მოკლე მიმოხილვა

2026

ევროპის
საინვესტიციო ბანკი | ჯგუფი

მოკლე მიმოხილვა

2026

ევროპის
საინვესტიციო ბანკი | ჯბუფი

მოკლე მიმოხილვა 2026

© European Investment Bank, 2026
98-100, boulevard Konrad Adenauer
L-2950 ლუქსემბურგი

ყველა უფლება დაცულია.
უფლებებთან და ლიცენზიებთან დაკავშირებული შეკითხვები
მოგვწერეთ publications@eib.org.

EIB ჯგუფის საქმიანობის შესახებ დამატებითი ინფორმაციისათვის
ეწვიეთ ჩვენს ვებგვერდს: www.eib.org. ასევე, შეგიძლიათ
დაგვიკავშირდეთ info@eib.org.
გადმოიწერეთ ჩვენი ელექტრონული საინფორმაციო ბიულეტენი:
www.eib.org/sign-up.

© ფოტოს ავტორები:
EIB ჯგუფი, Inelfe, Nokia, Alfredas Pliadis, Shutterstock, Jolt.

პასუხისმგებლობის შეზღუდვის შესახებ განცხადება
აღნიშნულ თარგმანსა და დედანს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში,
უპირატესობა ენიჭება დედან ინგლისურენოვან ვერსიას.

გამოქვეყნებულია ევროპის საინვესტიციო ბანკის მიერ.
დაბეჭდილია FSC® ქაღალდზე.

pdf: QH-01-26-001-KA-N ISBN 978-92-861-6194-0 doi: 10.2867/2231521

ევროპის საინვესტიციო ბანკის ჯგუფის შესახებ

ევროპის საინვესტიციო ბანკის ჯგუფი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ძლიერი ევროპის მხარდაჭერაში უფრო სტაბილურ და მშვიდობიან მსოფლიოში.

2025 წელს რეკორდული 100 მილიარდი ევროს ოდენობის დაფინანსებით, EIB ჯგუფი წლიდან წლამდე გასცემს გრძელვადიან სესხებს ასობით მსხვილი და მცირე პროექტისთვის ევროპის საინვესტიციო ბანკის მეშვეობით. ის ასევე ხელს უწყობს სწრაფად მზარდ და ინოვაციურ კომპანიებს ევროპის საინვესტიციო ფონდის მეშვეობით.

1958 წელს დაარსებულ ევროპის საინვესტიციო ბანკთან ერთად, რომლის მფლობელებიც არიან ევროკავშირის 27 წევრი სახელმწიფო, EIB ჯგუფი მისი დაფინანსების 10%-ს გამოყოფს ევროკავშირის გარე 160-ზე მეტი ქვეყნისთვის. ჩვენ, როგორც მრავალმხრივი განვითარების ბანკების ოჯახის ძირეულ წევრს, გლობალურ პროგრესში წვლილი შეგვაქვს. ეს საქმიანობა აყალიბებს მყარ, ორმხრივად სასარგებლო პარტნიორობებს.

თავისი მასშტაბის, დივერსიფიცირებული პორტფოლიოსა და მყარი პარტნიორობების საფუძველზე, EIB ჯგუფი ხელს უწყობს პლატფორმებსა და ფინანსურ ინსტრუმენტებს, რომლებიც აუმჯობესებს კაპიტალის ბაზრებს ევროპაში და იზიდავს დამატებით დაფინანსებას ინსტიტუციური ინვესტორებისგან.

EIB ჯგუფი წარმოადგენს ევროპის წარმატების სიმბოლოს. ჩვენ ვუგზავნით ნდობისა და სტაბილურობის გზავნილს ადამიანებს, ბიზნესებს, ინვესტორებსა და ფინანსურ ბაზრებს ევროპასა და მთელ მსოფლიოში.

ჩვენი ზეგავლენა 2025 წელს

EIB ჯგუფის დაფინანსება **€100 მლრდ**

მათ შორის **€9 მლრდ**
ევროკავშირის ფარგლებს გარე ქვეყნებისთვის

ევროპის საინვესტიციო ფონდის 2025 წლის ხელმოწერები **€16 მლრდ**

€20,6 მლრდ ქალაქებისა და რეგიონების მდგრადობისთვის

€33 მლრდ ევროკავშირის ენერგეტიკული უსაფრთხოებისთვის

€57 მლრდ კლიმატის ცვლილების საწინააღმდეგო ქმედებებისა და ეკოლოგიური მდგრადობისთვის

€27,8 მლრდ მწვანე და მდგრადობის ობლიგაციებისთვის

€9,8მლრდ განახლებადი ენერგიისთვის
(მხოლოდ ევროპის საინვესტიციო ბანკი)

€10,3 მლრდ სოციალური ინფრასტრუქტურისთვის

€22,4 მლრდ TechEU დაფინანსება

€4 მლრდ უსაფრთხოებისა და თავდაცვის პროექტებისთვის

€29,7 მლრდ საკონსულტაციო მხარდაჭერით უზრუნველყოფილი დაფინანსებისთვის

26,8 მლნ ადამიანი უფრო უსაფრთხო სასმელი წყლით

9,2 მლნ ადამიანი უკეთესი სანიტარული პირობებით

18,5 მლნ ადამიანის უკეთესი დაცვა გვალვისგან

6,9 მლნ ადამიანის უკეთესი დაცვა წყალდიდობებისგან

ჩვენი პრიორიტეტები

ყოველწლიურად, EIB ჯგუფი აფინანსებს ასობით ახალ პროექტს, რომლებიც ხელს უწყობს ევროკავშირის პრიორიტეტებს: კლიმატის ცვლილების საწინააღმდეგო ქმედებები, ტექნოლოგია, ხელმისაწვდომი საცხოვრებელი, უსაფრთხოება და თავდაცვა, სოფლის მეურნეობა და მრავალი სხვა სექტორი. ჩვენი საქმიანობა ხელს უწყობს შესაძლებლობების გაზიარებას მთელ ევროპაში, აჩქარებს მდგრად დაფინანსებას, ხელს უწყობს კაპიტალის ბაზრების განვითარებას და იცავს ევროპის ძლიერ გლობალურ პოზიციას.

1

ბისკაის ყურის ელექტროგადამცემი დამაკავშირებელი ხაზი წარმოადგენს მნიშვნელოვან პროექტს, რომელიც გაზრდის ელექტროენერგიის გადაცემის სიმძლავრეს იბერიის ნახევარკუნძულსა და ევროპის დანარჩენ ნაწილს შორის.

კლიმატის ბანკი

ევროპის საინვესტიციო ბანკის ჯგუფი სუფთა ენერგიაზე გადასვლის პროცესის მოწინავე პოზიციაზე იმყოფება. ჩვენ ვმართავთ ინვესტიციებს, რომლებიც ამცირებს სათბურის აირების გამოყოფას ნებისმიერი ზომის კომპანიებში და ჩვენ ვაფინანსებთ პროექტებს, რომლებიც ეხმარება თემებს ცვალებად მომავალთან ადაპტირებაში.

€11,6 მლრდ ქსელებსა და შენახვის სისტემებში

€1 ტრილიონი კლიმატისა გარემოსდაცვით პროექტებში 2020-2030 წლებში

ორმაგი სიმძლავრე

ევროპის საინვესტიციო ბანკი გასცემს 1,6 მილიარდი ევროს ოდენობის სესხს ბისკაის ყურეში ელექტროგადამცემი დამაკავშირებელი ხაზის მხარდასაჭერად, რომელზეც მუშაობს Red Eléctrica de España და RTE Réseau de transport d'électricité. პროექტი გაორმაგებს სიმძლავრეს საფრანგეთსა და ესპანეთს შორის და უზრუნველყოფს უფრო უსაფრთხო და ხელმისაწვდომ ელექტროენერგიას მილიონობით ადამიანისთვის.

2

ეს ტექნოლოგიები გადამწყვეტია მობილური სისტემების წარმადობის, ენერგოეფექტურობისა და კიბერუსაფრთხოების გასაუმჯობესებლად.

ინოვაცია

2025 წელს EIB ჯგუფმა წამოიწყო TechEU - ევროპის ისტორიაში ყველაზე დიდი დაფინანსების პროგრამა ტექნოლოგიური ინოვაციებისთვის. ის 2027 წლისთვის უზრუნველყოფს 70 მილიარდი ევროს ოდენობის დაფინანსებას სესხების, ვენჩურული ვალისა და კაპიტალის მეშვეობით და მოახდენს 250 მილიარდი ევროს მობილიზებას ინვესტიციებში. ინოვაციური ტექნოლოგიებისადმი უფრო ამბიციური მიდგომისა და მეტი რისკის აღების შედეგად, ინოვაციების დაფინანსება ევროპის ტექნოლოგიური ლიდერობის გასაძლიერებლად გაიზარდა რეკორდულ 22,4 მილიარდ ევრომდე.

€4,1 მლრდ ხელოვნური ინტელექტის ინვესტიციებში

მობილური ხელოვნური ინტელექტი

Nokia გამოიყენებს ევროპის საინვესტიციო ბანკის 870 მილიონი ევროს ოდენობის სესხს შემდეგი თაობის მობილური ქსელების განვითარებისათვის. კომპანია იმუშავებს სისტემებზე, რომლებიც ცნობილია, როგორც 5G-Advanced და 6G, რითაც გააძლიერებს ევროპის ტექნოლოგიურ ლიდერობას მობილურ კომუნიკაციებში.

3

Indra-სა და Thales-ის სესხები ხელს შეუწყობს მოწინავე ტექნოლოგიების განვითარებას და მხარს დაუჭერს ათასობით მკვლევარსა და ინჟინერს.

უსაფრთხოება და თავდაცვა

EIB ჯგუფი ახორციელებს ინვესტიციებს ევროპის მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის. ეს დაფინანსება ეხმარება ინოვაციურ და უკვე ჩამოყალიბებულ კომპანიებს შეიმუშაონ პროექტები, რომლებიც იცავს ადამიანებსა და საზღვრებს. თანამგზავრებიდან კიბერუსაფრთხოების გადაწყვეტებამდე, ინფრასტრუქტურიდან სამხედრო მობილობამდე - ჩვენ ხელს ვუწყობთ იდეებს, რომლებიც ევროპას უსაფრთხოსა და დამოუკიდებელს ხდის.

2025 წელი მნიშვნელოვანი გარდამტეხი ეტაპი იყო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პროექტების მხარდაჭერის მიმართულებით,

4 მილიარდ ევროზე

მეტი დაფინანსებით.

აღმოსავლეთის ფლანგის გაძლიერება

EIB ჯგუფი აძლიერებს ლიეტუვის სამხედრო შესაძლებლობებს, მათ შორის 540 მილიონი ევროს ოდენობის ინვესტიციებით და საკონსულტაციო მხარდაჭერით სამხედრო ბაზისთვის, რომელიც მდებარეობს ლიეტუვა-ბელარუსის საზღვართან ახლოს. ეს ბაზა უმასპინძლებს გერმანულ ბრიგადას და გააძლიერებს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის სწრაფი რეაგირების შესაძლებლობებს რეგიონში.

EIB ჯგუფი ასევე უზრუნველყოფს თითქმის 1 მილიარდ ევროს, ევროპის ორი წამყვანი თავდაცვის კომპანიის – Indra-სა და Thales-ის – კვლევითი პროგრამების დასაფინანსებლად. ეს შესაძლებელს გახდის ახალი ობიექტების მშენებლობას და გააძლიერებს თავდაცვის, კოსმოსური ტექნოლოგიებისა და აერონავტიკის კვლევასა და განვითარებას როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო ფრენებისთვის.

4

ამ მოდერნიზაციის პროექტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანია გზების კლიმატის ცვლილებისადმი მდგრადობის გაზრდა.

შეკავშირებულობა

ჩვენ ვახორციელებთ ინვესტიციებს შეკავშირებულობის პროექტებში, რომლებიც ამცირებს რეგიონულ უთანასწორობას ევროკავშირში და აძლიერებს ნაკლებად უზრუნველყოფილ საზოგადოებებს. ეს ხელს უწყობს თანაბარ ეკონომიკურ ზრდას და ეხმარება ადამიანებს წარმატების მიღწევაში იქ, სადაც ცხოვრობენ, რათა არ გახდეს საჭირო საცხოვრებელი ადგილის დატოვება უკეთესი შესაძლებლობების საძიებლად.

€42,8 მლრდ **შეკავშირებულობის პროექტების დაფინანსებაში 2025 წელს**

კონკრეტული შედეგები

2025 წელს EIB-მ თითქმის 1,4 მილიარდი ევროს ოდენობის ინვესტიცია განახორციელა პოლონეთის ნაკლებად განვითარებულ რეგიონებში ავტომაგისტრალების მოდერნიზაციისთვის. Bank Gospodarstwa Krajowego-სთან განხორციელებული ინვესტიციები აძლიერებს ეკონომიკურ აქტივობასა და რეგიონულ განვითარებას და ამავე დროს ხელს უწყობს ქვეყანაში სამოქალაქო და სამხედრო მობილობას. ამ პროექტებთან ერთად უზრუნველყოფილი იყო საკონსულტაციო მხარდაჭერა, რომელმაც განსაზღვრა ქსელის ის მონაკვეთები, რომლებიც ყველაზე მეტად საჭიროებდა გაუმჯობესებას.

5

ქალაქების ფუნქციონირების უზრუნველმყოფი საჯარო სექტორის მუშაკებისთვის საცხოვრებელი ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური გამოწვევაა.

სოციალური ინფრასტრუქტურა

ჩვენი სოციალური დაფინანსება აუმჯობესებს ურბანულ ცხოვრებას, ზრდის ხელმისაწვდომ საცხოვრებელ ფართს და აძლიერებს საჯარო სერვისებს. ეს ხელს უწყობს ინვესტიციებს, რომლებიც ეხმარება ადამიანებს ახალი უნარების შეძენაში და უზრუნველყოფს ავადმყოფებსა და ხანდაზმულებზე ზრუნვას. ეს საფუძველს უყრის ინკლუზიურ და მდგრად განვითარებას მთელი ევროპის მასშტაბით.

€10,3 მლრდ **სოციალური ინფრასტრუქტურის ინვესტიციებში 2025 წელს**

საფუძვლების ჩაყრა

EIB ჯგუფი გეგმავს 2030 წლისთვის დაახლოებით ერთი მილიონი ხელმისაწვდომი და მდგრადი საცხოვრებელი ერთეულის შექმნის ხელშეწყობას. 60 მილიონ ევროიანი სესხის მეშვეობით, ჩეხეთის ერთ-ერთი წამყვანი ბანკი Česká spořitelna აფინანსებს პრაღაში 1 000-ზე მეტ ხელმისაწვდომ საცხოვრებელს ექთნებისთვის, მასწავლებლებისთვის და სხვა არსებითი მნიშვნელობის პროფესიის წარმომადგენლებისთვის. პორტუგალიისთვის გამოყოფილი 1,3 მილიარდ ევროიანი სესხი ხელს შეუწყობს ხელმისაწვდომი საცხოვრებლით უზრუნველყოფას. ირლანდიამ დაიწყო 400 მილიონ ევროიანი სასესხო პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს გრძელვადიან, ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის დაფინანსებას სოციალური საცხოვრებლის მომსახურების მომწოდებელთათვის. ავსტრიის Erste Bank-მა მიიღო 200 მილიონი ევრო საცხოვრებელი ინვესტიციებისთვის, მათ შორის პროექტებისთვის ახალგაზრდებისა და ხანდაზმული მოიჯარეებისთვის.

6

სასოფლო-სამეურნეო სექტორი წარმოადგენს იტალიის ეკონომიკისა და იდენტობის მნიშვნელოვან საყრდენს.

სოფლის მეურნეობა და ბიოეკონომიკა

სოფლის მეურნეობა მნიშვნელოვანია ჩვენი სასურსათო უსაფრთხოებისთვის, სურსათის ხარისხისა და ეკონომიკებისთვის. ჩვენ ვაფინანსებთ პროექტებს მეთევზეობის, სატყეო მეურნეობის, სურსათის ხარისხის, სოფლის განვითარებისა და კლიმატზე მორგებული წარმოების სფეროებში. ჩვენი სესხები და საკონსულტაციო მომსახურება აუმჯობესებს ფერმერების შემოსავალს, იცავს გარემოს და ამცირებს სოფლის მეურნეობიდან წარმოებულ ემისიებს.

€6,9 მლრდ **ინვესტიცია სოფლის მეურნეობასა და ბიოეკონომიკაში 2025 წელს**

იტალიელი ფერმერების ახალი თაობა

EIB ჯგუფი გასცემს 100 მილიონ ევროზე მეტი ოდენობის სესხს Banca di Asti-ზე, ჩრდილო-დასავლეთ იტალიის რეგიონულ ბანკზე, ახალგაზრდა ფერმერებისა და მცირე ბიოეკონომიკური კომპანიების დასაფინანსებლად. Banca di Asti-ის დაფინანსების სულ მცირე 10% გამოყოფილი იქნება ახალგაზრდა ფერმერების მხარდაჭერისთვის.

7

ბანკი უკრაინის მასშტაბით დაახლოებით 150 თემში 500-ზე მეტი საჯარო შენობის აღდგენაში ეხმარება.

გლობალური ინვესტიცია

ჩვენ ვქმნით ძლიერ ორმხრივად სასარგებლო პარტნიორობებს მთელ მსოფლიოში. ჩვენ აქტიურად ვუჭერთ მხარს უკრაინას და ხელს ვუწყობთ მდგრად განვითარებას ისეთ რეგიონებში, როგორიცაა ხმელთაშუა ზღვა და სუბსაჰარული აფრიკა. ჩვენ წვლილი შეგვაქვს კლიმატის ცვლილების საწინააღმდეგო ქმედებებში და ხელს ვუწყობთ გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებს. ჩვენ მსოფლიოს წყლის სექტორში ერთ-ერთი უმსხვილესი მსესხებლები ვართ.

ევროკავშირის ფარგლებს გარეთ განხორციელებული EIB ჯგუფის ინვესტიციების სამი მეოთხედი ხელს უწყობდა Global Gateway პროექტებს.

როგორ დავეხმაროთ უკრაინას

უკრაინა წარმოადგენს ევროპის საინვესტიციო ბანკის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს და მომდევნო ათწლეულში დაფინანსების საჭიროება 524 მილიარდ დოლარადაა შეფასებული. გადაუდებელი დახმარების მიღმა, EIB ჯგუფი ორიენტირებულია იმ სფეროებზე, სადაც შესაძლებელია ყველაზე დიდი შედეგის სწრაფად მიღწევა. 2025 წელს ევროპის საინვესტიციო ბანკის ჯგუფმა 1,5 მილიარდი ევროს ოდენობის პროექტები დააფინანსა, რათა დახმარებოდა ოჯახებს სახლების გათბობაში, ბავშვებს სკოლაში სიარულსა და ადამიანებს სამედიცინო დახმარების მიღებაში.

8

სესხების ფასიან ქაღალდებად გარდაქმნის ოპერაციები პირდაპირ უწყობს ხელს დანაზოგებისა და ინვესტიციების კავშირის მიზნების განხორციელებას.

დანაზოგებისა და ინვესტიციების კავშირი

ევროპის მასშტაბით შექმნილი EIB ჯგუფი ავითარებს ფინანსურ ინსტრუმენტებს, რომლებიც საფუძვლად დაედება რეალური დანაზოგებისა და ინვესტიციების კავშირის ჩამოყალიბებას. მისი მნიშვნელოვანი როლის მეშვეობით კერძო ინვესტიციების მობილიზაციასა და მოზიდვაში, EIB ჯგუფი მიმართავს დანაზოგებს ევროპული ტექნოლოგიური ლიდერების, ინოვატორების, ინვესტორთა მიერ მილიარდ ევროზე მეტად შეფასებული სტარტაპებისა და მცირე ბანკების მხარდასაჭერად. უკეთ ინტეგრირებული კაპიტალის ბაზრები უზრუნველყოფს ინვესტიციებისა და დანაზოგების თავისუფალ გადაადგილებას ევროკავშირის მასშტაბით, რაც სარგებელს მოუტანს ფიზიკურ პირებს, ინვესტორებსა და კომპანიებს.

დანაზოგებისა და ინვესტიციების კავშირი დაეხმარება ევროპას სრულად გამოიყენოს თავისი შიდა ბაზრის შესაძლებლობები.

ზრდის ხელშეწყობა

ევროპის საინვესტიციო ბანკი ინვესტიციებს ახორციელებს ევროპული ბანკების მიერ გამოშვებული სესხებით უზრუნველყოფილ ფასიან ქაღალდებში და ავითარებს ამგვარი დაფინანსების ინოვაციურ სტრუქტურებს, რათა ხელი შეუწყოს რეალური ეკონომიკისთვის მნიშვნელოვან უფრო მეტ ბიზნესებს. სესხებით უზრუნველყოფილ ფასიან ქაღალდებში ინვესტირების გზით ინოვაციური ბანკების მხარდაჭერით, EIB ჯგუფი ხელს უწყობს უფრო ლიკვიდური და მასშტაბური საინვესტიციო ბაზრის შექმნას. 2025 წელს ABN AMRO-ის მიერ განხორციელებული 1 მილიარდ ევროიანი სინთეტიკური ტრანზაქცია სესხებით უზრუნველყოფილი ფასიანი ქაღალდების მიმართულებით არის ყველაზე დიდი ასეთი ოპერაცია, რომელიც განხორციელდა EIB ჯგუფის მხარდაჭერით. ეს ასევე მნიშვნელოვანი ნაბიჯია ევროპის საინვესტიციო ბანკისა და ევროპის საინვესტიციო ფონდისთვის, რომელიც სესხებით უზრუნველყოფილი ფასიანი ქაღალდების ოპერაციების სტრუქტურირებას ახორციელებს.

ევროპის საინვესტიციო ფონდის შესახებ

ევროპის საინვესტიციო ფონდი არის EIB ჯგუფის სპეციალიზებული ერთეული, რომელიც მცირე ბიზნესებს ზრდაში ეხმარება. EIF ბანკებს აძლევს სასესხო გარანტიებს, რათა მათ შეძლონ ევროპულ ბიზნესებში ინვესტირება და თანამშრომლობს ვენჩურული კაპიტალის, კერძო კრედიტის, კერძო კაპიტალისა და ინფრასტრუქტურის ფონდებთან, რათა უზრუნველყოს ინოვაციური მეწარმეების მხარდაჭერა.

ევროპის საინვესტიციო ფონდი დაარსდა 1994 წელს მცირე ბიზნესებისთვის დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობის გასაზრდელად. ის ეხმარება კომპანიებს განვითარების სხვადასხვა ეტაპზე - სტარტაპის ფაზიდან საერთაშორისო დონეზე გაფართოებამდე. მისი ერთ-ერთი მიზანია ევროპაში ბიზნეს ინვესტიციებისთვის უკეთესი ეკოსისტემის შექმნა, თუმცა EIF ასევე ხელს უწყობს ინოვაციას, კონკურენტუნარიანობას, სოციალურ გავლენასა და მდგრადობას.

2025 წელს მდგრადობის, სოციალური გავლენის, ინოვაციებისა და ზრდისთვის
15,7 მილიარდ ევროზე მეტი გამოიყო

EIF ხელს უწყობს ადრეულ ეტაპზე მყოფ ინოვატორებს, რომლებიც ქმნიან მომავლის გადაწყვეტებს და ასევე უკვე ჩამოყალიბებულ ბიზნესებს, რომლებიც ფართოვდებიან ახალ, ამბიციურ სექტორებში.

გლობალური ზრდა, ევროპული გავლენა

ევროპის საინვესტიციო ფონდმა 260 მილიონ ევროიანი ინვესტიცია განახორციელა Jolt Capital-ის ფონდში, რითაც ხელი შეუწყო პარიზში დაფუძნებულ კომპანიას დამატებით 800 მილიონ ევრომდე ინვესტიციის მოზიდვაში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ევროპული deep-tech კომპანიების მხარდასაჭერად. EIF-ის ეს ინვესტიცია არის European Tech Champions Initiative-ის ნაწილი, რომელიც მიზნად ისახავს ევროპის მასშტაბირების ხარვეზის დაძლევას დიდი ვენჩურული კაპიტალის ფონდებში ინვესტირების გზით.

მოკლე მიმოხილვა

2026

ევროპის
საინვესტიციო ბანკი | ჯგუფი

შეიტყვეთ მეტი EIB ჯგუფის სტრატეგიული პრიორიტეტების შესახებ.

pdf: ISBN 978-92-861-6194-0

© European Investment Bank, 05/2026 KA 2025-0389